



იუნისეფი საქართველოში

საინფორმაციო ბიულეტენი, ივლისი №1 2012 (№16)



შესავალი



საქართველოში ჩემი მუშაობის პერიოდი დასასრულს უახლოვდება. ამ მშვენიერ ქვეყანაში გატარებული სამი წელიწადი ჩემთვის დაუფინყარი გახდა. შევხვდი სხვადასხვა პროფესიის ბევრ შესანიშნავ ადამიანს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობა აქტიურად ცდილობს, ბავშვები რეფორმების ყურადღების ცენტრში მოაქციოს. საგრძნობი პროგრესი იქნა მიღწეული ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ყველაზე დაუცველ ჯგუფებთან მიმართებით და ეს მისასალმებელია. ბავშვთა სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა გაიზარდა. დანებებითი სასკოლო ასაკის თითქმის ყველა ბავშვი სკოლაში დადის. ხდება თითქმის ყველა ბავშვის რეგისტრაცია დაბადებისას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი ეროვნული სტრატეგია უკვე შედგება იძლევა. ბავშვზე ზრუნვის რეფორმის შედეგად იხურება დარჩენილი დიდი ზომის ბავშვთა სახლები და ხდება ბავშვების საკუთარ ოჯახებში რეინტეგრაცია. ოჯახი ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს!

ეს გასაოცარი მიღწევებია. თუმცა, საქართველოში ყოფნის პერიოდში მე აგრეთვე შევხვდი ბევრ

ოჯახს, რომელიც თვიდან თვემდე თავის გატანას ძლივს ახერხებს და სიღარიბის მახეში მოხვედრილი გადარჩენას ცდილობს. საქართველოში მცხოვრები ოჯახების მეხუთედზე მეტი ჯერ კიდევ განიცდის სხვადასხვა სახის დანაკლისს. სიღარიბე სწორედ ამ ოჯახების ბავშვებზე ახდენს ყველაზე მძიმე ზეგავლენას. ამიტომაც სოციალური დაცვის სისტემის მიმდინარე რეფორმას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ბავშვები ამ ქვეყნის მომავალია და სოციალური დაცვისა და სიღარიბის დაძლევის ყველა პროგრამაში პრიორიტეტი სწორედ მათ უნდა ენიჭებოდეს.

მსურს წარმოგიდგინოთ საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ასახავს ბოლო პერიოდის ზოგიერთ მნიშვნელოვან მოვლენასა და მიღწევას. აგრეთვე მსურს დავემშვიდობო ამ მშვენიერ ქვეყანას და მადლობა გადავუხადო ქართველ ხალხს გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის. მადლობას ვუხდის ყველა ჩემს მეგობარსა და კოლეგას, რომლებთანაც ამ საინტერესო და ღირსშესანიშნავი წლების განმავლობაში ვმუშაობდი; ძალიან ბევრი რამ ვისწავლე ყველა თქვენთაგანისგან. რა თქმა უნდა, ყველა იმ ადამიანის მსგავსად, ვისაც ამ მშვენიერ ქვეყანაში უცხოვრია და უმუშავია, საქართველო ყოველთვის ჩემს ფიქრებში დარჩება.

რულანდ მონაში
გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში



ახალი სადისკუსიო დოკუმენტი სიღარიბის შემცირების შესახებ

ივლისში გაეროს ბავშვთა ფონდმა წარმოადგინა სადისკუსიო დოკუმენტი „საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება“, რომლის მიზანია დაიწყოს დიალოგი ბავშვთა სიღარიბის შესახებ. აღნიშნული სადისკუსიო დოკუმენტი ეფუძნება უფრო

ვრცელ ანგარიშს – „ბავშვთა და მათი ოჯახების კეთილდღეობა საქართველოში – კეთილდღეობის მონიტორინგის მეორე ეტაპი, 2011 წ.“, რომელიც მომზადდა გაერთიანებული სამეფოს იორკის უნივერსიტეტსა და საქართველოს სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტთან თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევის თანახმად, 2009 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში საქართველოში სიღარიბე შემცირდა. ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რაოდენობა 24 პროცენტისა და 22 პროცენტამდე დაეცა. ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობამ 28-დან 25 პროცენტამდე იკლო. პენსიები, ჯანმრთელობის

დაზღვევა და მიზნობრივი სოციალური დახმარება ქმედითი საშუალებებია სიღარიბის შესამცირებლად. თუმცა, მიუხედავად მიღწევებისა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ბავშვი ცხოვრობს სიღარიბეში და ეს ბავშვები სათანადოდ არ არიან წარმოდგენილი სოციალური დაცვის არსებულ სქემებში.

სადისკუსიო დოკუმენტში „საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება“ ხაზგასმულია, რომ საჭიროა დამატებითი ინვესტიციები საქართველოში ყველაზე დაუცველი ბავშვების დასახმარებლად. დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები სოციალური პოლიტიკისათვის მომავალი სამი-ხუთი წლის განმავლობაში ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად და ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკური ზრდის თანაბრად გადანაწილების აუცილებლობაზე. ანგარიშის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <http://www.unicef.org/georgia> ან www.unicef.ge.


საკონტაქტო პირი: თინათინ ბაუმი, გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური პოლიტიკის სპეციალისტი, +995 599 74 77 33, tbaum@unicef.org

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად დედებისა და ბავშვების ჯანმრთელობა გაუმჯობესდა

საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლევის საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია ივნისში გაიმართა. ახალი ანგარიშის თანახმად დედათა ჯანმრთელობა (ათასწლეულის განვითარების მიზანი 5) გაუმჯობესდა.

„რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის“ სამი ეტაპის შედეგების შედარება გვიჩვენებს, რომ პრენატალური სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის დონე გაიზარდა 91%-დან (1999 წ.) 98%-მდე (2010 წ.). ორსულობის პირველი სამი თვის მანძილზე ექიმს უფრო მეტი ქალი მიმართავს. აგრეთვე, გაიზარდა ორსულობის დროს კონსულტაციების რიცხვი. 2005 წელს ორსული ქალების 75% ქალთა კონსულტაციას ოთხჯერ ან მეტჯერ მიმართავდა; 2010 წელს ეს რიცხვი 90%-მდე გაიზარდა. იმ ქალების რიცხვი, რომლებმაც პრენატალური სამედიცინო კვლევის დროს ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩაიტარეს, 60%-დან (1999 წ.) 97%-მდე (2010 წ.) გაიზარდა. სამედიცინო დაწესებულებებში მშობიარობის რიცხვი 92%-დან (1999 წ.) 99%-მდე (2010 წ.) გაიზარდა.

მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობაც (ათასწლეულის განვითარების მიზანი 4). 1999 წლის შემდეგ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობა ორი მესამედით შემცირდა: თუ 1999 წელს ყოველი 1000 ცოცხლადშობილი ბავშვიდან 45 კვდებოდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 16-მდე შემცირდა. იმავე პერიოდში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობაც ყოველ 1000 ცოცხლადშობილ ბავშვზე 42 გარდაცვლილიდან 14 ჩვილამდე შემცირდა.



© იუნისეფი/საქ-2012/ზღაგონროგოვა

კვლევა განხორციელდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გაეროს მოსახლეობის ფონდის, გაეროს ბავშვთა ფონდის და „დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის“ (ატლანტა, აშშ) მხარდაჭერით. ანგარიშის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <http://www.unicef.org/georgia> ან www.unicef.ge

საკონტაქტო პირი: თინათინ ბაუმი, გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური პოლიტიკის სპეციალისტი, +995 599 74 77 33, tbaum@unicef.org

დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ახალი გეგმა უზრუნველყოფს ცხოვრების საუკეთესო დასაწყისს ყველა ბავშვისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში ბავშვების სიკვდილიანობა შემცირდა, ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის არსებული შემთხვევები მეტწილად თავიდან აცილებადია. საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის 58 პროცენტი დაბადებიდან პირველ 28 დღეზე მოდის. ამის ძირითადი მიზეზია ნაადრევი მშობიარობა, ასფიქსია და ინფექციები/პნევმონია. ერთობლიობაში ეს სამი ფაქტორი ახალშობილთა გარდაცვალების შემთხვევების სამი მეოთხედის მიზეზი ხდება. ეს მიზეზები მჭიდროდაა დაკავშირებული დედის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ორსულობის პერიოდში, მშობიარობის გარემოებებთან და ბავშვის დაბადების შემდგომ პირველ კრიტიკულ საათებთან.

შრომის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის საბჭოსთან, ისრაელის „შებას სამედიცინო ცენტრთან“ და გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, შეიმუშავა პერინატალური სისტემის გაძლიერების ახალი

გენერალური გეგმა. გენერალური გეგმა ეყრდნობა საქართველოს 2011-2015 წწ. ჯანდაცვის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს პერინატალური სისტემის გაძლიერებას საქართველოში მომდევნო 10-15 წლის მანძილზე.

გენერალური გეგმა განსაზღვრავს ძირითად სამუშაო მიმართულებებს და წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს. გეგმის კომპონენტებია: პოლიტიკა, ფინანსები, მომსახურების ორგანიზაცია, ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსები, ხარისხი და საინფორმაციო სისტემები. პერინატოლოგიის სფეროში კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება მთავრობის მიერ 2011 წელს დაიწყო.

საკონტაქტო პირი: თამარ უგულავა, გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის პროგრამის სპეციალისტი, +995 599 92 90 09, tugulava@unicef.org

სკოლამდელი განათლების კვირეული

სკოლამდელი განათლება საქართველოს გრძელვადიან განვითარებაში ჩადებული უაღრესად მნიშვნელოვანი ინვესტიციაა. ბავშვის შემეცნებითი განვითარების სტიმულირება ადრეულ ასაკში საკვანძო როლს თამაშობს მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისათვის.

9-13 ივნისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით ჩატარდა სკოლამდელი განათლების პირველი ეროვნული კვირეული. ამ კვირის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა მრავალი საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო მშობლების და ზოგადად, მოსახლეობის უკეთ ინფორმირება ადრეული განათლების გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ.

ხარისხიანი განათლება ადრეულ ასაკში უმნიშვნელოვანესია ბავშვის შემეცნებითი, ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარებისათვის; მიუხედავად ამისა, საქართველოს ბავშვების მხოლოდ ნახევარზე ნაკლებს მიუწვდება ხელი სკოლამდელ განათლებაზე. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასწრების მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია სოფლად. ბევრი მშობელი აღნიშნავს, რომ სკოლამდელი განათლების დაწესებულებას ბავშვის დასატოვებელ ადგილად უფრო მიიჩნევს, ვიდრე საგანმანათლებლო დაწესებულებად, სადაც ბავშვები სწავლობენ, იუმჯობესებენ ცოდნასა და უნარებს და ემზადებიან სკოლისათვის.



© იუნისეფი/საქ-2012/ზლაგონაოვო



© იუნისეფი/საქ-2012/ზლაგონაოვო

© იუნისეფი/საქ-2012/ბლაგონარაგოვა



აღნიშნული კვირეულის მანძილზე მცირეწლოვან ბავშვებს და მათ მშობლებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა ღონისძიებაში, რომლებიც სპეციალურად ორგანიზებულ ცენტრებში გაიმართა. თითოეული ცენტრი ფოკუსირებული იყო განვითარების სხვადასხვა სფეროზე, როგორცაა: ნერაკითხვა, მეცნიერება, ფიზიკური აქტივობები, დრამა, მუსიკა, ხელოვნება და სამაგიდო თამაშები. გარდა ამისა, მშობლებს დაურიგდათ საინფორმაციო მასალები ბავშვის განვითარებისა და პოზიტიური ურთიერთობების შესახებ. მსგავსი ღონისძიებები ჩატარდა მარნეულში, მცხეთაში, გორში, ხაშურში, ჩოხატაურსა და ხობში. დასკვნითი ღონისძიება გაიმართა ბათუმში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ბათუმის მერიასთან თანამშრომლობით.

საკონტაქტო პირი: მაია ყუფარაძე, გაეროს ბავშვთა ფონდის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, +995 599 21 30 39, mkuparadze@unicef.org

თბილისის სკოლებმა დაიწყეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვა სპორტულ ღონისძიებებსა და ფიზიკურ აქტივობებში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 100-ზე მეტი მოსწავლე სრულად ჩაერთო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებში თბილისის ხუთ საჯარო სკოლაში. ეს შესაძლებელი გახდა საპილოტო პროექტის ფარგლებში სახელწოდებით „განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვა ფიზიკურ განვითარებასა და სპორტში“, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობით და გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური და ფინანსური დახმარებით ხორციელდებოდა 2011-2012 სასწავლო წელს.

პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკის საკითხებზე გადამზადდნენ ხუთივე სკოლის მასწავლებლები, მათ შორის სპეციალური მომზადების მქონე პედაგოგები და ფსიქოლოგები. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბავშვების მშობლები; ხუთივე საპილოტე სკოლამ მიიღო სპეციალური სპორტული აღჭურვილობა. ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე თითოეული ბავშვისათვის შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მათი პირადი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მიღწევებისა და მიღებული გამოცდილების შედეგად შესაძლებელია აღნიშნული ინიციატივის გაფართოება, რათა ინკლუზიური ფიზიკური განათლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის დაინერგოს საქართველოს ყველა სკოლაში.

საკონტაქტო პირი: მაია ყუფარაძე, გაეროს ბავშვთა ფონდის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, +995 599 21 30 39, mkuparadze@unicef.org



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფოტოები



სალომე ნინუას ფოტო

წყალმომარაგება და სანიტარია სოფლად პრობლემებს უქმნის სკოლამდელი ასაკის ბავშვებს

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ ეროვნული კვლევის შედეგები წარმოადგინეს 25 აპრილს საქართველოს პარლამენტის „ბავშვთა ადრეული განვითარების ეროვნული ალიანსის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე.

კვლევის შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ სოფლად მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები ქალაქელ ბავშვებთან შედარებით უარეს მდგომარეობაში არიან ხარისხიანი წყლისა და სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

სოფლად მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები უმეტესწილად იძულებულნი არიან ეზოში არსებული ტუალეტით ისარგებლონ, რაც საკმაოდ მოუხერხებელია ზამთარში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ტუალეტები სკოლამდელი დაწესებულებიდან ზოგჯერ 60 მეტრის დაშორებითაცაა.

სანიტარული მოწყობილობების ხელმისაწვდომობა სკოლამდელი ასაკის ფიზიკურად უნარშეზღუდული ბავშვებისათვის კვლავ პრობლემაა როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად.

ამასთანავე, კვლევა რეკომენდაციას უწევს მზრუნველების კვალიფიკაციის ამაღლებას, განსაკუთრებით

სოფლად, სკოლამდელ დაწესებულებებში ჰიგიენის ნორმების დამკვიდრების მიზნით, რაც წარმატებისათვის აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევა.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ეროვნული კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვეთით 2011 წლის დეკემბერში ჩატარდა. კვლევაში სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა და მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებული 1277-დან 554-მა ბავშვმა.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაეროს ბავშვთა ფონდი რეკომენდაციას უწევს ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ეკონომიკურად ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი პროგრამების დანერგვას საქართველოს სოფლებში წყლისა და სანიტარიის სისტემების გაუმჯობესებისათვის. გაეროს ბავშვთა ფონდი თანამშრომლობს ქვეყნის მთავრობასთან, რათა მოხდეს რესურსების მობილიზაცია სკოლამდელ სისტემაში უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით. ანგარიშის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <http://www.unicef.org/georgia> or www.unicef.org

საკონტაქტო პირი: თამარ უგულავა, გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის პროგრამის სპეციალისტი, +995 599 92 90 09, tugulava@unicef.org

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის შედეგად ოჯახურ მზრუნველობას მეტი ბავშვი მიიღებს



საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბავშვზე ზრუნვის სისტემის გაუმჯობესების სფეროში. დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა შემცირდა 4000-დან 250-მდე. გასული 12 თვის განმავლობაში დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების დაახლოებით 33% საკუთარ ოჯახებში დაბრუნდა, როცა ეს მათ საუკეთესო ინტერესებს შეესაბამებოდა. ასევე, გაფართოვდა მინდობით აღზრდის სისტემა, სადაც უკვე 700-ზე მეტი ბავშვია განთავსებული. იმ ბავშვებისათვის, რომელთა საკუთარ ოჯახებში დაბრუნება შეუძლებელი იყო, გაიხსნა 42 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, რომლებშიც დაახლოებით 400 ბავშვი ცხოვრობს. ამჟამად დასაქმებულია 250 სპეციალურად მომზადებული სოციალური მუშაკი და მათი რაოდენობა იზრდება.

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმას ახორციელებს საქართველოს მთავრობა დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, როგორებიცაა ევროკავშირი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო და გაეროს ბავშვთა ფონდი. მათი როლი სისტემის რეფორმირების საქმეში განუზომელია. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაწილეობა მნიშვნელოვანია კოორდინაციის თვალსაზრისით და პოლიტიკის, სტრატეგიის, სახელმძღვანელო პრინციპებისა და სტანდარტების შემუშავებაში.

2012 წელს რეფორმის ძირითადი მიზანია სოციალური მუშაკების ეფექტიანობის გაზრდა. ძველი, მეტისმეტად რთული ფორმების ნაცვლად, შემუშავდა სოციალური სამუშაოს ახალი ფორმები და მოხდა მათი განახლება და ტესტირება. საქართველოს სოციალური მუშაკების ასოციაციის დახმარებით „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ყველა სოციალურმა მუშაკმა გაიარა მომზადება ახალი ფორმების გამოყენების შესახებ. ფონდ „პირველ ნაბიჯთან“ თანამშრომლობით, სოციალურ მუშაკებს ჩაუტარდათ სემინარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის შესახებ, ხოლო „საქართველოს ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის“ დახმარებით თბილისის ყველა სოციალური მუშაკი და სკოლის მანდატური გადამზადდა ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მათი რეფერირების საკითხებზე. სემინარები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობისა და ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდება ყველა რეგიონში.



© იუნისეფი/საქ-2012/ცხვინაშვილი

საკონტაქტო პირი: აარონ გრინბერგი, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი, +995 591 22 52 90, agreenberg@unicef.org

ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ახალი დღის ცენტრი გაიხსნა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს უფლება აქვთ აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოების ცხოვრებაში და არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას. ნებისმიერი სამოქმედო გეგმა ამ ბავშვებთან მიმართებით ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: შესაბამისი სამსახურების არსებობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ოჯახების დასახმარებლად; ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მოიცავს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს; ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ არსებული სტიგმის შეცვლა.



© იუნისეფი/საქ-2012/ზღაგონრაგოვა

ქუთაისში თებერვალში გაიხსნა ადრეული ჩარევისა და დღის ახალი ცენტრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. ცენტრებს ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველო“. აღნიშნული ცენტრები ნაწილია ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმისა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა გაეროს ბავშვთა ფონდის და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. ქუთაისში დღის ცენტრები ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით გაიხსნა.

შეფერხების რისკის გამოვლენისთანავე კვალიფიციური დახმარება, რაც ხელს შეუწყობს ოჯახების ერთიანობის შენარჩუნებას.

ახალი დღის ცენტრი მოემსახურება 6-18 წლამდე შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და მოზარდებს, სადაც მათ განვითარების, განათლების და სოციალური ინტეგრაციის საშუალება მიეცემა.

ადრეული ჩარევის ცენტრი მოემსახურება 0-6 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე 100-მდე ბავშვს. ის ბავშვებსა და მათ ოჯახებს გაუწევს ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო და საგანმანათლებლო დახმარებას. ცენტრის მეშვეობით მშობლებს საშუალება აქვთ გაიარონ კონსულტაციები სხვადასხვა სპეციალისტთან, ფსიქოლოგთან, სოციალურ მუშაკთან, პედიატრთან, ოკუპაციური თერაპიის სპეციალისტთან და ლოგოპედთან. ცენტრის მიზანია ადრეული ასაკის ბავშვების მითოვების პრევენცია და განვითარების

ქუთაისისა და თბილისის დღის ცენტრები 100-ზე მეტ ბავშვს ემსახურება ფონდ „პირველი ნაბიჯი საქართველოსთან“ თანამშრომლობით. შედეგად ბევრი ამ ბავშვთაგანი გადაურჩა ჩვილ ბავშვთა სახლში მოხვედრას. აქედან, ზოგი ბავშვი სრულად ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერებით, ხოლო დანარჩენებს თავად ოჯახები აფინანსებენ.

საკონტაქტო პირი: აარონ გრინბერგი, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი, +995 591 22 52 90, agreenberg@unicef.org



© იუნისეფი/საქ-2012/ზღაგონრაგოვა

ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა წინასწარი პატიმრობის ადგილებში: კიდევ ერთი ნაბიჯი სასამართლო სისტემის რეფორმის გზაზე

2012 წლის მაისში და ივნისში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ თბილისსა და ქუთაისში არასრულწლოვანებისათვის ორი ახლად გარემონტებული წინასწარი პატიმრობის ფონდის რეკომენდაციების თანახმად, დაიხურა მანამდე არსებული ზუგდიდის და ბათუმის წინასწარი პატიმრობის დაწესებულებები, სადაც იყო უკიდურესად მძიმე მდგომარეობა, არარსებობდა განათლების მიღების შესაძლებლობა და არ ჰყავდათ კვალიფიცირებული თანამშრომლები.

წინასწარი პატიმრობის ახალი დაწესებულებები უფრო ახლოსაა საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, გაეროს ბავშვთა ფონდისა და სხვა ორგანიზაციების დახმარებით, აღნიშნულ დაწესებულებებში გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა და ფიზიკური გარემო და ამჟამად, ინერგება ინდივიდუალური მიდგომა თითოეული დაკავებული ბავშვის მიმართ. ახალი მოდელი მიზნად ისახავს ყველა ახალგაზრდის შეფასებას წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში მოხვედრისას, რათა არ მოხდეს წყვეტა ბავშვის განვითარებასა და განათლებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდის და „ნამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის“ დახმარებით ორივე საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლებმა გაიარეს მომზადება საერთაშორისო სტანდარტებისა და ბავშვთა უფლებების შესახებ. ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებსა და ციხის ხელმძღვანელებს ჩაუტარდათ სემინარები შეფასებისა და კრიზისული ინტერვენციის საკითხებზე.

ბავშვის განვითარებისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს წინასწარი პატიმრობის დროს დაცული იყოს ბავშვის უფლება მიიღოს განათლება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შემუშავდა და დაინერგა სპეციალურად წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაზე გათვლილი სასწავლო გეგმა. აღნიშნული დაწესებულებებისთვის მასწავლებლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიქირავა. აღნიშნულ დაწესებულებებში ასაკის შესაბამისი განათლების შემოღებით გადაიჭრება დიდი ხნის პრობლემა - წინასწარი პატიმრობის ადგილებში განათლების შესაძლებლობის არარსებობა.

საკონტაქტო პირი: აარონ გრინბერგი, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი, +995 591 22 52 90, agreenberg@unicef.org

ელექტრონული მომსახურება ახალგაზრდებისთვის

2011 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდი თანამშრომლობს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისა და მოზარდებისათვის ხელმისაწვდომი მომსახურებების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შემუშავებაში. მონაცემთა ბაზის ნახვა შესაძლებელია მისამართზე: www.cync.ge. იგი მოიცავს საქართველოს 11 ქალაქში არსებული 500-ზე მეტი მომსახურების/ორგანიზაციის აღწერილობას. 2012 წლის ბოლოსათვის აღნიშნულ მონაცემთა ბაზას სავარაუდოდ, კიდევ 10 ქალაქის მონაცემები დამატება, რაც იმას ნიშნავს, რომ სულ 21 ქალაქის მონაცემების მოძიება იქნება შესაძლებელი. იუნისეფი კვლავ აგრძელებს ნაწილობრივ დაფინანსებას, თუმცა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მალე თავად დაფარავს ელექტრონული მონაცემთა ბაზის ფუნქციონირების ხარჯებს.

2012 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინება ახალი და მიმდინარე

პროექტების დაგეგმვისას. ამ საქმეში სამინისტროს დახმარებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისაგან შემდგარი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ და გაეროს ბავშვთა ფონდი. მათი დახმარებით სამინისტრო მონიტორინგს გაუწევს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებულ ყველა მომსახურებას და შეაფასებს მათ პროგრამებს, ინფრასტრუქტურასა და შენობებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის „ხელმისაწვდომს“, „ნაწილობრივ ხელმისაწვდომს“, და „არახელმისაწვდომს“. ამასთანავე, ინჟინრები და ოკუპაციური თერაპიის სპეციალისტები უფასო კონსულტაციებს გაუწევენ იმ სამსახურებს, რომელთაც სურვილი ექნებათ მოახდინონ თავიანთი პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის ადაპტაცია.

საკონტაქტო პირი: დავით ლვინერია, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამის მენეჯერი, +995 591 22 52 91, dgvineria@unicef.org

რაგბი განვითარებისთვის!



საქართველოს რაგბის კავშირის ფოტოები

2011 წელს, საქართველოს რაგბის კავშირის, სას-ჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, თბილისში ავჭალის არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში დაინერგა რაგბის სასწავლო პროგრამა.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს, რომ ბავშვებს საპატიმრო დაწესებულებებში შესაძლებლობა ჰქონდეთ იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით და აითვისონ სპორტის ფილოსოფია, რომელიც პატივისცემას, პატიოსან თამაშს, ურთიერთმხარდაჭერას და გუნდურ მუშაობას ითვალისწინებს. ეს ასევე ეხმარება ბავშვებს სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ მოხდეს მათი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

რაგბის გაკვეთილები კვირაში ორჯერ ტარდება ორი საათის განმავლობაში. გაკვეთილების დროს მწვრთნელები ბიჭებთან ასევე საუბრობენ ცხოვრების ჯანსაღ წესზე, სწორ კვებაზე და პირად ჰიგიენაზე. ავჭალის დაწესებულებაში ბიჭებს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებიც ესტუმრნენ და მათთან

ერთად რაგბი ითამაშეს. რაგბის საერთაშორისო საბჭოს მსოფლიო ალაფის გათამაშების პერიოდში, ავჭალის დაწესებულებას ახალგაზრდული ნაკრებისა და რაგბის კლუბ „ლელოს“ წევრები ესტუმრნენ და ამხანაგური თამაში გამართეს. ტელე-სტუდია „ტოტალ რაგბი“-მ კი აღნიშნული პროგრამის შესახებ ფილმი მოამზადა, რომელიც ოცდაათზე მეტ ქვეყანაში გადაიცა.

რაგბი და ზოგადად სპორტი, ყველაზე ბუნებრივი და ქმედითი გზაა ახალგაზრდების სწორ გზაზე დასაყენებლად და ვარჯიშისა და თამაშის გზით დადებითი ფასეულობების დასამკვიდრებლად. დღეისათვის რაგბის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა არასრულწლოვანმა. ზოგიერთმა მათგანმა სასჯელის მოხდის შემდეგ რაგბის თამაში სხვადასხვა პროფესიონალურ კლუბში გააგრძელა. ბევრი მათგანისათვის სპორტი იქცა იმედად და გზად ახალი ცხოვრების, შესაძლებლობებისა და მომავლისაკენ. ბევრმა მათგანმა სიგარეტს თავი დაანება და აქტიური, სპორტული ცხოვრება დაიწყო.

საკონტაქტო პირი: დავით ლვინერია, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამის მენეჯერი, +995 591 22 52 91, dgvineria@unicef.org



საქართველოს რაგბის კავშირის ფოტო

სპორტი განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრებისათვის

© იუნისეფი/საქ-2012/ზინაზინაძე



ჯანსაღი ცხოვრების წესის სტიმულირება მოზარდებს შორის – სპორტის, სწორი კვების და გუნდური სულისკვეთების ღირებულებების მეშვეობით - მნიშვნელოვანია სივარეულისა და ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაეროს ბავშვთა ფონდმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს პირველი ლედის ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივასთან ერთად, თანამშრომლობა დაიწყო სატელევიზიო არხთან „რუსთავი 2“ და „სპორტისა და გასართობი თამაშების ასოციაციასთან“. აღნიშნული პარტნიორობის მიზანია სატელევიზიო თამაშის „გუნდის“ და „დისნეის თასის“ საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმდინარეობის დროს ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

© იუნისეფი/საქ-2012/ზინაზინაძე



„რუსთავი 2-ის“ სატელევიზიო თამაშში „გუნდი“ 32 სკოლის 16 ბიჭისა და გოგონასაგან შემდგარი გუნდები მონაწილეობენ. მონაწილეთა ასაკი 8-დან 16 წლამდეა. სექტემბრიდან დაწყებული 31 სატელევიზიო გადაცემა გავა ეთერში. სულ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 500 ბავშვზე მეტი.

„რუსთავი 2-ის“ ეგიდით ჩატარებული „დისნეის თასი“ საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირია 13 წლამდე ასაკის ბიჭებისა და გოგონებისთვის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს სპორტის, სამართლიანი თამაშის, სხვადასხვა კულტურისა და ცხოვრების ჯანსაღი სტილის პოპულარიზაციას. მარტიდან მაისამდე პერიოდში

© იუნისეფი/საქ-2012/ზინაზინაძე



© იუნისეფი/საქ-2012/ბიზანოშვილი



© იუნისეფი/საქ-2012/ბლაგონაგოვი



საქართველოს 18 რეგიონში გაიმართა ადგილობრივი შესარჩევი ტურნირები, რომლებშიც მონაწილეობდა 4000-ზე მეტი ბავშვი. 22 მაისს თბილისში ფინალური თამაში გაიმართა და ორი გამარჯვებული გამოვლინდა: ბიჭების გუნდი თბილისიდან და გოგონების გუნდი ქობულეთიდან. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას

მიიღებენ ახალგაზრდულ საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში - დისნეის თასის გათამაშებაში, რომელიც ივლისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება.

საკონტაქტო პირი: დავით ლვინერია, გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის პროგრამის მენეჯერი, +995 591 22 52 91, dgvineria@unicef.org

ახალგაზრდებისათვის აივ-ის ნებაყოფლობითი ტესტირება და კონსულტირება

მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ კონფიდენციალური, ანონიმური და უფასო აივ-ის ტესტირებითა და კონსულტაციით საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“-ს და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივის შედეგად, რომლის პრეზენტაციაც 26 ივნისს გაიმართა. სამწლიან პროექტს სახელწოდებით „არასამთავრობო სექტორის გაძლიერება აივ/შიდსის პროფილაქტიკის, მკურნალობის და მოვლის საკითხებში ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ქვეყნებში“, აფინანსებს ევროკავშირი.

მსოფლიოში მხოლოდ შვიდი ქვეყანაა, საქართველოს ჩათვლით, სადაც იმუნოდეფიციტის შემთხვევების რიცხვი 25%-ზე მეტით გაიზარდა გასული ათწლეულის მანძილზე. ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის/დსთ-ს რეგიონის უმეტეს ქვეყანაში, საქართველოშიც ინექციური ნარკოტიკების მოხმარება ინფიცირების უმთავრესი ფორმაა. საქართველოს ხუთ ქალაქში ახლახანს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინექციური ნარკოტიკების 4000 მომხმარებელიდან ორმა მესამედმა ნარკოტიკების მოხმარება მოზარდობის ასაკში დაიწყო. თბილისში, დაახლოებით მეოთხედმა ნარკოტიკის მოხმარება 14 წლისამ ან უფრო ახალგაზრდა ასაკშიც კი დაიწყო. იმავე კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელი იმ ახალგაზრდების წილი, რომლებმაც აივ-ის ტესტი კვლევაამდე 12 თვის მანძილზე გაიკეთეს და შედეგი იცოდნენ, 5% იყო. ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელი ახალგაზრდების 17%-მა იცოდა, სად შეიძლება აივ-ტესტირება და 16%-ს უფასო პრეზერვატივები ჰქონდა მიღებული.

აღნიშნული პროგრამა შეარჩევს ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას და დაეხმარება მათ ახალგაზრდებისათვის ხარისხიანი სერვისების მიწოდებაში. პროგრამის შედეგად, შეიქმნება ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი კონფიდენციალური ტესტირებისა და საკონსულტაციო სერვისები, რომლებიც მოემსახურება ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფის 10 000 ახალგაზრდას და რომლებიც დაკავშირებული იქნება პრევენციისა და მკურნალობის უფრო ფართო სერვისებთან. ინიციატივა იმუშავებს პოლიტიკის დონეზეც და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეეცდება გავლენა მოახდინოს პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაზე. პროგრამის კიდევ ერთი ასპექტი იქნება სამთავრობო დაწესებულებებსა და სხვა პარტნიორებთან კავშირი და საქმიანობის კოორდინაცია, იდეების, საუკეთესო გამოცდილების და ხარვეზების შესახებ ინფორმაციის უკეთესი გაზიარების მიზნით.

პროექტის ფარგლებში აგრეთვე დაგეგმილია 60 თანატოლ განმანათლებელის მომზადება თანატოლებთან სამუშაოდ. ახალგაზრდები შეეცდებიან თავიანთ თანატოლებში გაზარდონ მოთხოვნა აივ ტესტირებასა და კონსულტაციაზე. პროგრამის შედეგად ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი სავარაუდოდ, 3600 ახალგაზრდა გაისინჯება აივ-ზე და მიიღებს კონსულტაციას, რაც მათ საშუალებას მისცემს გააკეთონ გააზრებული არჩევანი და მიიღონ გადწყვეტილება ნარკოტიკების გამოყენებასა და სქესობრივ კავშირებზე.

საკონტაქტო პირი: თამარ უგულავა, გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის პროგრამის სპეციალისტი, +995 599 92 90 09, tugulava@unicef.org

ბავშვთა უფლებების მონიტორინგის გაძლიერება სახალხო დამცველის ოფისში

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელიც 13-18 წლის 13 ბავშვს აერთიანებს. მრჩეველთა საბჭო აქტიურად მონაწილეობს სახალხო დამცველის ოფისის ბავშვთა და ქალთა ცენტრის საქმიანობაში და ცდილობს იმუშაოს ისეთ საკითხებზე, როგორცაა სკოლის თვითმმართველობის ორგანოები, ძალადობა და ბავშვთა უფლებების პოპულარიზაცია.

2012 წლის 7 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისისა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობის შედეგად გაიმართა მესამე ყოველწლიური კონფერენცია „ბავშვის უფლებაა მოუსმინონ“. კონფერენციის მიზანია ბავშვების მეტი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს პირველი ლედი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი და განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვისა და

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთა მოადგილეები.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ბავშვთა მრჩეველთა საბჭოს წევრებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები სკოლების თვითმმართველობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის, ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ. კონფერენციამ მოსწავლეებს საშუალება მისცა ესაუბრათ და სამინისტროების წარმომადგენლების ყურადღება გაემახვილებინათ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

საკონტაქტო პირი: მაია ქურციკიძე, გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი, +995 599 53 30 71, mkurtsikidze@unicef.org



© იუნისეფი/საქ-2012/ზიზანიშვილი

რედაქტორის შენიშვნა:

გაეროს ბავშვთა ფონდის საინფორმაციო ბიულეტენი ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოდის. ჩვენი პუბლიკაციის მიზანია გაავრცელოს ინფორმაცია საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის საქმიანობის შესახებ. თქვენს წინაშეა საინფორმაციო ბიულეტენის მეთექვსმეტე გამოცემა. მივესალმებით პუბლიკაციის შესახებ თქვენს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. გთხოვთ, შეგვატყობინოთ, თუ გსურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება გაეროს ბავშვთა ფონდისა და მისი საქმიანობის შესახებ. ჩვენ მივესალმებით თქვენს შენიშვნებსა და მოსაზრებებს.

თუ გსურთ საინფორმაციო ბიულეტენის ასლის, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიღება, გთხოვთ, მიმართოთ მაია ქურციკიძეს, გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელ-ს საქართველოში.

ტელეფონი: (995 32) 2 232388, 2 251130; ელ. ფოსტა: mkurtsikidze@unicef.org